

## “უფალი თავისი სიყვარულით არ გვტოვებს ჩვენს გულქვაობაში”



ადამიანის ცხოვრებაშიც და ერის ცხოვრებაშიც ხდება ხოლმე მძიმე მოვლენები, რომელსაც ჩვენ განსაცდელს ვუწოდებთ – სნეულებები ან ტრაგედია. ძალიან გვეშინია და ვღელავთ ამის გამო, მაგრამ დღევანდელი სახარება გვეუბნება, რომ განსაცდელის ჟამს და ამის შემდეგ ისეთი გამოცდილება მოვიდეს, რომელმაც ჩვენ სულიერი თვალები აგვიხილოს, – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ მეუფე შიო მუჯირმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„დღეს არის მე-6 კვირა აღდგომიდან, რომელსაც „შობითგან ბრმის“ კვირა ეწოდება იმიტომ, რომ იკითხება სახარება უფალი იესო ქრისტეს მიერ შობითგან ბრმის განკურნების შესახებ.

მოკლე სახარებაა, მაგრამ ყველაზე მთავარ კითხვებზე იძლევა პასუხს. უფალი იესო ქრისტე თავის მოციქულებთან ერთად, შეხვდება ადამიანს, რომელიც შობიდან ბრმაა. მოციქულები ჰკითხავენ, რატომ მოხდა ასე, მისი ბრალთა თუ მისი მშობლების?

როგორც ხშირად ხდება, ადამიანები ვერ ხვდებიან, თუ რა არის უფლის ჩანაფიქრი, ღმერთის გეგმები. ხშირად არის, რომ ჩვენი ლოგიკა ამას ვერ სწვდება და ჩვენი ადამიანური აზროვნებით გვინდა, ხოლმე, ავხსნათ უფლის მოქმედებები. აქაც ასე ხდება. უფალი იესო ქრისტე პასუხობს: არც ამის ბრალია და არც მისი მშობლების, ეს იმიტომ მოხდა, რომ მასზე აღსრულდეს ღმერთის საქმე, რათა გამოცხადდეს საქმე ღვთისა მასზე. ჩვენ ვფიქრობთ ამაზე, რა არის საქმე ღვთისა? როგორ უნდა გამოცხადდეს ამ ბრმაზე. აქ, ასევე, ისმის კითხვა: რა არის ღმერთის მთავარი საქმე და რა არის ის, რაც ყველაზე მეტს სურს უფალს? ის, რომ ადამიანმა დაინახოს, იხილოს ღმერთი და ემსახუროს მას და სულის გადარჩენის გზაზე დადგეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ღმერთის საქმე ის კი არ იყო, რომ ამას ფიზიკური თვალეები აეხილა, არამედ ღმერთის საქმე ის იყო, რომ ფიზიკურ თვალთან ერთად, ამ ადამიანს სულიერი თვალეებიც აეხილა. თითქოს, ყველა გარშემომყოფნი ხედავდნენ ფიზიკური თვალეებით, მაგრამ სულიერი ხედვა არ ჰქონდათ. უფლისთვის მთავარია, რომ ჩვენ თვალი აგვეხილოს, შინაგანი ხედვა გვქონდეს და დავინახოთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამ ადამიანს ეხილება თვალი, ღმერთი ხედავს მის სიმდაბლეს. როგორც ჩანს, მას დასჭირდა ამ ეკლიანი გზის გავლა, რომ მისულიყო სარწმუნოებამდე, ასეთ სიმდაბლემდე, ასეთ მორჩილებამდე. ეს არის ღვთის საქმე.

ჩვენ ამასთან ერთად ვფიქრობთ იმას, რომ ადამიანის ცხოვრებაშიც და ერის ცხოვრებაშიც ხდება, ხოლმე, მძიმე მოვლენები, რომელსაც ჩვენ განსაცდელებს ვუწოდებთ – სნეულებები ან ტრაგედია. რა თქმა უნდა, ძალიან გვეშინია და ვლელავთ ამის გამო, მაგრამ დღევანდელი სახარება გვეუბნება, რომ განსაცდელის ჟამს და ამის შემდეგ, ისეთი გამოცდილება მოვიდეს, რომელმაც ჩვენ სულიერი თვალეები აგვეხილოს და სწორედ ამიტომ უშვებს ამ განსაცდელს. მგონი, ჩვენს პირად ცხოვრებაშიც გვქონია ასე ძალიან ხშირად. უფალი თავისი სიყვარულით არ გვტოვებს ჩვენს გულქვაობაში, ჩვენს „კეთილმონყობაში“ და თითქოსდა სიმშვიდეში, სადაც კარგად ვგრძნობთ უღმერთოდ თავს. თუკი ხედავს, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ აქედან გამოვიდეთ და ღმერთთან მივიდეთ, ამიტომ უშვებს ამ განსაცდელს, ამ გზით მაინც მივიდეთ ღმერთთან. თუ ჩვენ არ გვაქვს უნარი, რომ გრილი სიოს სახით შევიგრძნოთ ღმერთი, არ გვაქვს უნარი რომ ვმადლობდეთ და რწმენა გამოვხატოთ, მაშინ უფალი ცოტა უფრო სხვა გზებით ცდილობს მასთან ჩვენს დაახლოებას. ბევრ რამეზე გვაფიქრებს დღევანდელი სახარება, ალბათ უფრო ჩვენს სულიერ სიბრმავეზე. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ აგვეხილოს თვალი რომ ვიხილოთ ჭეშმარიტი ნათელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე“, – განაცხადა მეუფე შიომ.